გისენის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2014/2015 წლის შემოდგომის და 2015 წლის გაზაფხულის სემესტრებისათვის გისენის იუსტუს-ლიბიგის სახელობის უნივერსიტეტში ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ-ს იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის, ინფორმატიკის, ფიზიკის, გეოგრაფიის, აგრარული მეცნიერებების, ეკოტროპოლოგიისა და გარემოს მენეჯმენტის ბაკალავრიატის III, IV, V სემესტრის და მაგისტრატურის I სემესტრის სტუდენტებს.

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
I ეტაპი – გერმანული ენის ტესტი (B2 დონე);
II ეტაპი – გასაუბრება

კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) გაიმართება 2013 წლის 26 ნოემბერს,
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქ.#11)

აუცილებლად იქონიეთ თან პირადობის მოწმობა!

<u>კონკურსში მონაწილეობის მსურველთა სააპლიკაციო დოკუმენტების მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:</u>

http://dfronline.tsu.edu.ge/

კონკურსზე ელექტრონულად დარეგისტრირების ბოლო ვადაა: <u>2013 წლის 22 ნოემბერი, 12 საათი</u>

<u>რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი თსუ ელ-ფოსტის მისამართით!</u>

თსუ ელ-ფოსტის მისამართთან ან პაროლთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში მიმართეთ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს!

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ერთი რეკომენდაცია ქართულ და გერმანულ ენაზე (ნოტარიული დამოწმება არ არის საჭირო)
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან ქართულ ენაზე (ეხებათ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს)
- ბაკალავრიატში ან მაგისტრატურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- ბაკალავრის დიპლომის და დიპლომის დანართის ასლი (ეხებათ მხოლოდ მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტებს)
- პასპორტის ასლი
- მოტივაციის წერილი (გერმანულ ენაზე)
- CV (გერმანულ ენაზე)

გაცვლითი პროგრამა არ ანაზღაურებს საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის ხარჯებს!

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ირინა გამყრელიძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ-ს მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).

შენიშვნა:

კონკურსზე არ დაიშვებიან 2013/2014 სასწავლო წლის გისენის კონკურსის გამარჯვებულები!